





## ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტი




**პროფესორი ალიოშა ბაკურიძე  
დეპარტამენტის ხელმძღვანელი**

---




**ასოცირებული პროფესორი ნინო ქარდიანი**

---



**ასოცირებული პროფესორი ლაშა ბაკურიძე**

---



**ასოცირებული პროფესორი ნინო ცაგარეიშვილი**

---




## ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტი



**ასისტენტ-პროფესორი ია წერწუმია**

---



**ასისტენტ-პროფესორი ლამზირა ებრალიძე**

---



## ფარმაცევტული ტექნოლოგის დეპარტამენტი



ფარმაცევტული ტექნოლოგის დეპარტამენტი დაარსდა 1935 წელს “წამალთა და გალენის პრეპარატების ტექნოლოგიის” კათედრის სახელწოდებით. 1967 წელს მას ეწოდა “წამალთა ტექნოლოგიის” კათედრა, ხოლო 2004 წელს - “ფარმაცევტული ტექნოლოგიის” კათედრა. 2006 წლიდან კათედრას ეწოდება ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტი.

1935-1947 წლებში კათედრის გამგე იყო ირაკლი ბურჯანაძე, 1947-1973 წლებში – პროფესორი პეტრე გელბახიანი, 1973-1990 წლებში – დოცენტი ლევან ჩხატარაშვილი, 1990 – 2000 წლებში – ასოცირებული პროფესორი იპოლიტე მონიავა, 2000 წლიდან კი პროფესორი ალიოშა ბაკურიძე.

კათედრაზე სხვადასხვა წლებში მუშაობდნენ პროფესორები: პავლე ჭუმბურიძე, არისტარე მშვიდობაძე; დოცენტები: სამსონ ასათიანი, რევაზ სხილაძე, ნარგიზა სართანია, თინა დოლაბერიძე, მარიამ ტრაპაიძე, გრიგოლ ჩიხლაძე, კემალ ენუქიძე, ლეილა კერესელიძე, ნაზი ღუდუშაური; პედაგოგები: ვ. ვილარეტი, თამარ ბეჟანიშვილი, რევაზ მურდულია, გურამ წონორია.

დეპარტამენტში ისწავლება შემდეგი დისციპლინები: გალენური პრეპარატების ტექნოლოგია, მზა წამალთფორმების ტექნოლოგია, კოსმეტიკური და პარფიუმერიული საშუალებების ტექნოლოგია, ფარმაცევტული ტექნოლოგიები, ბიოფარმაცია, ბიოტექნიკური ტექნოლოგია, ფარმაცევტული ჰომეოპათია, ფარმაცევტული ნანოტექნოლოგია, წამლის ბიოლოგია, კარგი საწარმოო პრაქტიკა, ფარმაცევტული საწარმო და სამეცნიერო კვლევის მეთოდები ფარმაციაში.

ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტის ძირითადი სამეცნიერო მიმართულებაა – ბუნებრივი ნედლეულის გადამუშავების რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების, მოდიფიცირებული და მიზანმიმართული მიწოდების და სელექციური მოქმედების წამალთფორმებისა და სისტემების შემუშავება.

ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტში სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობას ეწევა 1 პროფესორი, 3 ასოცირებული და 3 ასისტენტ პროფესორი.